2012

პროფესიული უნარების ტესტი IV

ინსტრუქცია

პროფესიული უნარების ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: სწავლება და შეფასება, განვითარებისა და სწავლის თეორიები, პროფესიული გარემო.

ტესტში ოთხი ტიპის დავალებაა:

(1) **არჩევითპასუხიან დავალებებს** ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან *სწორია მხოლოდ ერთი.* დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

(2) **შესაბამისობის დავალება** ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა, მეორეში – სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და პასუხი ჩაწეროთ თანდართულ ცხრილში.

(3) **დავალებები პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“** თქვენგან მოითხოვს მოცემული მსჯელობის ჭეშმარიტების ან მცდარობის დადგენას. *გაითვალისწინეთ:* თუ დებულება მცდარია და მიუთითებთ პასუხს „მცდარია“, ეს დებულება აუცილებლად უნდა ჩაწეროთ სწორი (ჭეშმარიტი) ფორმით, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ კონკრეტულ დავალებაში ქულას ვერ მიიღებთ.

(4) **დავალებები ღია დაბოლოებით** თქვენგან მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის ადეკვატური.

** თითოეული ღია დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა. ყველა სხვა ტიპის დავალება ერთქულიანია.*

სამუშაოდ თქვენ გეძლევათ ტესტურ დავალებათა ბუკლეტი და პასუხების ფურცელი. ტესტის ბუკლეტში მოცემულია დავალებათა პირობები და დატოვებულია თავისუფალი ადგილი შავი სამუშაოსათვის, რომელიც თქვენი შეხედულებისამებრ შეგიძლიათ გამოიყენოთ. **გაითვალისწინეთ, ნამუშევრის ეს ნაწილი არ მოწმდება. თქვენი ნაშრომი შეფასდება მხოლოდ პასუხების ფურცლის მიხედვით.**

<u>პასუხების მონიშვნის ინსტრუქცია</u>

არჩევითპასუხიანი დავალებების შემთხვევაში პასუხების ფურცელზე მოძებნეთ დავალების შესაბამისი ნომერი და თქვენი პასუხები მონიშნეთ ისე, როგორც ეს წარმოდგენილ ნიმუშზეა ნაჩვენები პირველი დავალებისთვის. თუ თქვენ შეცდომით მონიშნეთ პასუხი, უფლება გეძლევათ, გამოასწოროთ თქვენი შეცდომა. ამისათვის თქვენ სრულად უნდა გააფერადოთ აღნიშნული უჯრა და ამის შემდეგ მონიშნოთ თქვენთვის სასურველი სხვა უჯრა, როგორც ეს მეორე დავალებისთვის არის ნაჩვენები. თუ თქვენ დატოვებთ დანარჩენ უჯრებს ცარიელს, როგორც ეს მესამე დავალებისთვის არის ნაჩვენები, ამ შემთხვევაში ითვლება, რომ არც ერთი პასუხი არ არის მონიშნული და დავალება ფასდება 0 ქულით.



ღია დავალების შემთხვევაში პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას ჩაწერეთ თქვენი პასუხი; ის არ უნდა გასცდეს დავალებისათვის გამოყოფილ არეს.

<u>**პასუხების ფურცელი აუცილებლად უნდა შეავსოთ იმ კალმით, რომელიც დაგირიგდათ**</u>.

სწავლება და შეფასება

დავალება №1

საშინაო დავალება სასწავლო პროცესის ერთ-ერთი ყველაზე არსებითი ნაწილია. იგი არა მხოლოდ ცოდნის შეძენასა და გამყარებას უწყობს ხელს, არამედ ისეთ უმნიშვნელოვანეს უნარებსაც ავითარებს მოსწავლეებში, როგორიცაა დამოუკიდებლად სწავლა, კვლევა-ძიება და ა.შ. საშინაო დავალება ეფექტიანი რომ იყოს, იგი რამდენიმე პრინციპს უნდა აკმაყოფილებდეს.

ჩამოთვლილთაგან რომელი პრინციპი/პრინციპები განსაზღვრავს საშინაო დავალების ეფექტიანობას?

I. **საშინაო დავალება უნდა გასწორდეს რაც შეიძლება სწრაფად**. მასწავლებელი დროულად უნდა აფასებდეს მოსწავლეთა ნამუშევრებს, რომ მათ უმნიშვნელოდ არ მიიჩნიონ დავალების შესრულება.

II. **მოსწავლე უნდა იღებდეს უკუკავშირს შესრულებულ დავალებაზე.** მასწავლებელი უნდა აღნიშნავდეს მოსწავლის მიღწევებს და შეცდომებზე აწვდიდეს მას დეტალურ კომენტარს, რომ მოსწავლემ სწორად დაგეგმოს საკუთარი სწავლის პროცესი.

III. **დავალებების განხილვა უნდა მოხდეს ჯგუფურად**. მასწავლებელი ამა თუ იმ მოსწავლეს შეცდომაზე კლასის წინაშე უნდა მიუთითებდეს, რომ მოსწავლეებმა სხვის შეცდომებზე ისწავლონ.

ა) მხოლოდ I და II

ბ) მხოლოდ I და III

გ) მხოლოდ II

დ) მხოლოდ III

დავალება №2

ჩამოთვლილთაგან რომელი ქმედება შეუწყობს ხელს **მოსწავლის** ***შინაგანი მოტივაციის*** ამაღლებას?

ა) მასწავლებელმა ამოცანის ორიგინალური გადაწყვეტისათვის მოსწავლეს სიმბოლური პრიზი გადასცა.

ბ) მასწავლებელმა მოსწავლე თანაკლასელის დახმარებისათვის კლასის წინაშე შეაქო.

გ) მასწავლებელმა მოსწავლეს საშუალება მისცა, პრეზენტაციის თემა თავად აერჩია.

დ) მასწავლებელმა მოსწავლის აკადემიური წინსვლის აღსანიშნავად მის მშობელს მადლობის წერილი მისწერა.

დავალება №3

მასწავლებელი იწყებს ახალი მასალის განხილვას. იგი გეგმავს პლაკატის ტიპის თვალსაჩინოებისა და აუდიოჩანაწერის გამოყენებას.

მოსწავლეთა ორგანიზების რომელი ფორმაა მიზანშეწონილი ***ყველაზე მეტად*** ასეთ შემთხვევაში?

ა) ჯგუფური
ბ) წყვილური
გ) ინდივიდუალური
დ) საერთო საკლასო

დავალება №4

როლური თამაშების გამოყენება არა მხოლოდ ახალისებს სასწავლო პროცესს, არამედ მნიშვნელოვნად აფართოებს მოსწავლეთა თვალსაწიერს. როლური თამაში კომპლექსური მეთოდია და რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება.

ჩამოთვლილთაგან რომელი **არ წარმოადგენს** ტრადიციული როლური თამაშის აუცილებელ კომპონენტს?

ა) სიტუაციის წარდგენა
ბ) სიმულაცია
გ) გონებრივი იერიში
დ) დისკუსია

დავალება №5

ხშირად მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებენ სკოლაში ქცევის წესებსა და ე.წ. საკლასო რუტინას. საკლასო რუტინაში გაწერილია ყოველდღიური სასწავლო ქმედებების მართვის პროცედურები.

საკლასო რუტინის შემუშავება და მისი მოსწავლეებისათვის გაცნობა ***ყველაზე მეტად*** ეხმარება მასწავლებელს იმაში, რომ:

ა) განსაზღვროს, რა სახის პრობლემებმა შეიძლება იჩინოს თავი კლასის მართვის დროს და შესაბამისად დაგეგმოს მომდევნო გაკვეთილი.
ბ) მნიშვნელოვნად შეამციროს კლასში პრობლემური ქცევის გამოვლენის ალბათობა და მოაწესრიგოს სწავლების პროცესი.
გ) აღეკვატურად შეაფასოს თითოეული მოსწავლის ჩართულობა გაკვეთილზე და შეურჩიოს შესაბამისი აქტივობები.
დ) ჩამოუყალიბოს მოსწავლეებს სასწავლო პროცესის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება.

დავალება №6

სასწავლო პროცესი მაშინ არის ეფექტიანი, როდესაც მოსწავლეს შეუძლია ერთ სიტუაციაში ნასწავლის განსხვავებულ სიტუაციაში გამოყენება. სამეცნიერო ლიტერატურაში ამას ცოდნის ტრანსფერს უწოდებენ.

წარმოდგენილი მაგალითებიდან რომელია **ნაკლებად ეფექტიანი** ცოდნის ტრანსფერის ხელშესაწყობად?

ა) მასწავლებელმა დაავალა მოსწავლეებს ტექსტში მოეძებნათ შესწავლილი მხატვრული ხერხები (ეპითეტები, შედარებები, მეტაფორები და ა.შ.) და ჩაეწერათ წინასწარ გამზადებულ ცხრილში.

ბ) მასწავლებელმა ასწავლა მოსწავლეებს მგზავრობასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები, ენობრივი კონსტრუქციები და მათი გამოყენებით გაათამაშებინა დიალოგი ავტობუსში.

გ) ისტორიულ თემაზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეებს სთხოვა, შეედარებინათ ფაქტების მხატვრული ინტერპრეტაცია შესაბამისი ისტორიული წყაროებისათვის.

დ) მასწავლებელმა მისცა მოსწავლეებს სიტუაციური ამოცანა: მოსწავლეებს უნდა მოეძებნათ შესწავლილ ნაწარმოებში წარმოდგენილი პრობლემის გადაჭრის გზა თანამედროვე რეალობაში.

დავალევა №7

არასაკმარისად განვითარებული სოციალური უნარები მოზარდებში დაბალი აკადემიური მოსწრების მიზეზი შეიძლება გახდეს, ამიტომ მასწავლებელი მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარებისათვის უნდა იყენებდეს სხვადასხვა სტრატეგიას.

ჩამოთვლილთაგან რომელია ეფექტიანი სტრატეგია/სტრატეგიები მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარებისათვის?

I. მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს თანატოლებთან წარმატებული ურთიერთობის მნიშვნელობასა და საჭიროებაზე; მაგალითისთვის მოჰყავს ამ თვალსაზრისით გამორჩეული მოსწავლეები.

II. მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს სიმულაციურ თამაშებს, რომლებშიც მონაწილეობის შემდეგ ისინი საუბრობენ საკუთარ ემოციებზე, დაკვირვებებზე.

III. მეგობრობის თემაზე წიგნის წაკითხვის შემდეგ მასწავლებლი მოსწავლეებს სთხოვს იმსჯელონ, რა მსგავსებასა და განსხვავებას ხედავენ ნაწარმოებში აღწერილ ურთიერთობებსა და საკუთარ ურთიერთობებს შორის, ასევე, რა მოეწონათ, რა – არა ამ ურთიერთობებში.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ II და III

დ) მხოლოდ III

დავალება №8

სასწავლო პროექტი, როგორც მეთოდი, მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას უწყობს ხელს. ამ მეთოდისათვის დამახასიათებელი დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, მაგრამ, ამავე დროს, პროექტის განხორცელების გზაზე წარმოქმნილმა სირთულეებმა შეიძლება მათი დემოტივაციაც გამოიწვიოს.

მასწავლებლის რა სახის ჩარევაა ***ყველაზე მართებული*** სასწავლო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის?

ა) მასწავლებელი თავად განსაზღვრავს პრობლემას და გეგმავს პროექტის განხორციელების ეტაპებს, მოსწავლეები კი მუშაობენ პროექტზე მისი ზედამხედველობით.
ბ) მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს პრობლემის არჩევის შესაძლებლობას, მათთან ერთად განსაზღვრავს განსახორციელებელ ამოცანებს და პროექტის შესრულების პროცესში რჩევებით ეხმარება მათ.
გ) მასწავლებელი თავად განსაზღვრავს პრობლემას, თავადვე გეგმავს პროექტის ფარგლებში შესასრულებელ ამოცანებს, რის შემდეგაც მოსწავლეები დამოუკიდებლად ახორციელებენ პროექტს.
დ) მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს პრობლემის არჩევის შესაძლებლობას და ანდობს მათ როგორც განსახორციელებელი ამოცანების განსაზღვრას, ისე მათ შესრულებაზე პასუხისმგებლობას.

დავალება №9

მათემატიკის მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა ამოცანის დამოუკიდებლად ამოხსნა. ერთ-ერთი მოსწავლე მონდომებით მუშაობდა და პირველმა დაასრულა დავალება. მასწავლებელმა მისი ნაშრომი შეამოწმა და ნახა, რომ მოსწავლემ ამოცანის ამოხსნის სწორი გზა აირჩია, მაგრამ მცდარი პასუხი მიიღო.

ჩამოთვლილთაგან რომელი კომენტარი შეუნარჩუნებს მოსწავლეს მოტივაციას?

ა) „პასუხი არ არის სწორი. ალბათ იჩქარე და უყურადღებოდ იმუშავე ამოცანაზე.“
ბ) „თუ შეიძლება, ამოცანა თავიდან ამოხსენი. სამწუხაროდ, პასუხი არ არის სწორი.“
გ) „სწორი გზა აგირჩევია, მაგრამ საბოლოო პასუხს დაუკვირდი და შეასწორე.“
დ) „სწორი პასუხია „შვიდი“ და არა „მინუს შვიდი“, კიდევ ერთხელ გადახედე.“

დავალება №10

ზაზა და გიო ერთ კლასში სწავლობენ და ფეხბურთსაც ერთ გუნდში თამაშობენ. ერთ-ერთი თამაშის დროს მათ კარში გატანილი გოლის გამო ისინი წაკინკლავდნენ – ერთმანეთს ადანაშაულებდნენ ცუდ თამაშში. კონფლიქტი თანდათან ისე გაღრმავდა, რომ ერთი შეხედვით ჩვეულებრივი სიტუაციაც კი მათი ჩხუბით მთავრდებოდა. კლასის დამრიგებელმა ამ კონფლიქტის მოგვარება მედიაციის გზით გადაწყვიტა. მედიატორად ზაზასა და გიოს თანაკლასელი შეარჩია, რომელიც ავტორიტეტითა და მათი ნდობით სარგებლობდა.

ჩამოთვლილთაგან რომელი რჩევა/რჩევები დაეხმარება მოსწავლეს მედიატორის ფუნქციის წარმატებით შესრულებაში?

I. მედიაციის მთელი პროცესის განმავლობაში იყოს მიუკერძოებელი და ნეიტრალური; არ გამოხატოს თავისი პოზიცია.

II. ყურადღებით მოუსმინოს კონფლიქტის მონაწილეებს, მისცეს მათ საშუალება, ბოლომდე გამოხატონ საკუთარი აზრი.

III. კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარეს დაუსვას ისეთი შეკითხვები, რომლებიც დაეხმარება, ჩასწვდეს კონფლიქტის არსს, გაარკვიოს, ვინ არის მართალი.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ II და III

დ) მხოლოდ III

დავალება №11

სწავლის ეფექტიანობისათვის პედაგოგმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ მოსწავლემ არა მხოლოდ ისწავლოს საგნობრივი მასალა, არამედ გააანალიზოს და გააცნობიეროს საკუთარი სწავლის პროცესი, ისწავლოს მისი მართვა.

მასწავლებლის რომელი აქტივობა დაეხმარება *ყველაზე მეტად* მოსწავლეს საკუთარი სწავლის პროცესის მართვის უნარის გამომუშავებაში?

ა) პედაგოგი მიუთითებს მოსწავლეს დავალების შესრულებისას დაშვებულ ტიპურ შეცდომებზე, ასწავლის მათი გამოსწორების ხერხებს. შემდგომში კი სთხოვს მოსწავლეს, თავად აღმოაჩინოს და გაასწოროს საკუთარი შეცდომები.

ბ) პედაგოგი მასალას ყოფს ნაწილებად, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საკითხის ცალკეულ ელემენტებზე და თითოეულზე მოსწავლის ყურადღების ხანგრძლივი ფოკუსირებით ცდილობს ცოდნის განმტკიცებას.

გ) მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომების ხასიათიდან გამომდინარე, პედაგოგი კომენტარის გარეშე აძლევს მას ახალ დავალებას, რომელიც ინდივიდუალურად მისთვის შეარჩია და სთხოვს დამოუკიდებლად შესრულებას.

დ) პედაგოგი მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით არჩევს დავალებებს. შეცდომის შემთხვევაში მოსწავლეს აძლევს უფრო მარტივს და ავალებს მათ შესრულებას შეზღუდულ დროში.

დავალება №12

ეფექტიანი სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებისთვის აუცილებელ წინაპირობათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია პედაგოგის ეფექტიანი კომუნიკაცია მოსწავლეებთან.

ჩამოთვლილთაგან რომელი რჩევა **არ არის** **მართებული** ეფექტიანი კომუნიკაციის მისაღწევად?

ა) ნუ იქნებით მონოტონური – ცვალეთ მიმიკა, ჟესტი, ხმის ტემბრი, რათა მოსაუბრისთვის უინტერესო და მოსაბეზრებელი არ გახდეს თქვენთან ურთიერთობა.

ბ) თვალებით კონტაქტის დროს შეეცადეთ დაიცვათ ზომიერება. თქვენი მზერით მხოლოდ იმას უნდა გამოხატავდეთ, რომ ყურადღებიანი მსმენელი ხართ, დაჟინებული, შემფასებელი მზერა მოსწავლეს აბნევს და დისკომფორტს უქმნის.

გ) ვერბალური კომუნიკაციის დროს იზრუნეთ ინფორმაციის ორგანიზებაზე – გამოყავით ძირითადი იდეები, აჩვენეთ მსმენელს ლოგიკური კავშირი ამ იდეებს შორის.

დ) აირჩიეთ საკლასო ოთახში ერთი ადგილი, საიდანაც ადვილად მოახერხებთ კონტაქტს მთელ კლასთან, ვინაიდან თქვენი ზედმეტი მოძრაობა მოსწავლეებს ყურადღებას გაუფანტავს და გაურთულებს საკითხზე ფოკუსირებას.

დავალება №13

კრიტიკული აზროვნების განვითარების პროცესი სწრაფად და ეფექტიანად მიმდინარეობს მაშინ, როდესაც ამისთვის შესაბამისი საკლასო გარემოა შექმნილი.

ჩამოთვლილთაგან რომელი მიდგომა/მიდგომები დაეხმარება პედაგოგს **კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის** ხელშემწყობი საკლასო გარემოს შექმნაში?

I. **ნუ შეზღუდავთ მოსწავლეთა იმპულსურობას** – მასწავლებელმა არ უნდა აღკვეთოს მოსწავლეთა ნაჩქარევი პასუხები, რათა მათ საერთოდ არ გაუქრეთ პასუხის გაცემის სურვილი.

II. **ნუ შეზღუდავთ მოსწავლეთა დამოუკიდებლობას** – წაახალისეთ მოსწავლეთა მიერ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, რათა მათ შეძლონ მომავალში სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვა.

III. **ყურადღებით უსმინეთ მოსწავლეებს** – უგულისყურო მსმენელი მოსწავლის თვალში ნდობას კარგავს, რაც ხელს უშლის მოსწავლეს შეხედულებების თავისუფლად გამოხატვაში.

ა) მხოლოდ I

ბ) მხოლოდ I და II

გ) მხოლოდ II და III

დ) მხოლოდ III

დავალება №14

სხვა რესურსებს შორის საგანმანათლებლო რესურსად მოიაზრება ურთიერთობები სკოლასა და საზოგადოებას შორის. ეს რესურსი ეფექტიანად შეიძლება იყოს გამოყენებული *მოსწავლეთა სწავლის და სწავლების* ხელშესაწყობად.

ჩამოთვლილთაგან რომელია საზოგადოების სკოლასთან ურთიერთობის *საგანმანათლებლო რესურსად გამოყენების ყველაზე ეფექტიანი* მაგალითი?

ა) სკოლის მოსწავლეების ძალებით გამართულ საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა ფოლკლორულმა ჯგუფებმაც.

ბ) ხელოვნების გაკვეთილებში ჩაერთვნენ ხალხური რეწვის ოსტატები, რომლებმაც მოსწავლეებს შეასწავლეს თექის დამუშავების ტექნოლოგია.

გ) ფიზიკის მასწავლებლის მოწვევით რაიონის მკვიდრმა ცნობილმა მეცნიერმა მოსწავლეებს ჩაუტარა საინტერესო ლექცია.

დ) მოსწავლეების ინიციატივით მოეწყო პრესკონფერენცია რაიონის ხელმძღვანელობასთან, რომლის მასალები დაიბეჭდა ადგილობრივ გაზეთში.

დავალება №15

მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების შეფასების მიზნით მასწავლებლები ხშირად მიმართავენ ტესტირების მეთოდს. შეფასების ეფექტიანობისათვის მნიშვნელოვანია, რომ ტესტი გარკვეულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდეს, მათ შორის ერთ-ერთია სანდოობა.

ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება აღწერს ტესტის **სანდოობის** არსს?

ა) ტესტი სანდოა, როდესაც ტესტირების შედეგები არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ, სად და როდის ატარებს ტესტირებას. ამასთან, ერთი და იმავე მიზნით შედგენილ ტესტებში მოსწავლე მსგავს შეფასებას უნდა იღებდეს.

ბ) ტესტი სანდოა, თუ იგი არ სცდება იმ მასალის ფარგლებს, რომელიც აქამდე შეისწავლეს მოსწავლეებმა კონკრეტულ საგანში.

გ) ტესტი სანდოა, თუ მისი საშუალებით შესაძლებელია არა მხოლოდ მოსწავლის არსებული ცოდნის დონის შეფასება, არამედ მისი აკადემიური მიღწევების პროგნოზირება.

დ) ტესტი სანდოა, თუ მასში შემავალ დავალებათა სირთულე ეყრდნობა მოსწავლეთა უნარებსა და შესაძლებლობებს და ითვალისწინებს მათ ასაკობრივ თავისებურებებს.

დავალება №16

ქვემოთ მოცემულია მიზანი, რომლის მიღწევაც სურს მასწავლებელს და ამ მიზნის მისაღწევად მის მიერ განხორციელებული კონკრეტული აქტივობა. დასახული მიზნიდან გამომდინარე, შეაფასეთ აღწერილი აქტივობის ადეკვატურობა თანდართული არგუმენტაციის გათვალისწინებით.

მიზანი: მოსწავლეებში **პრობლემის გადაჭრის უნარის** განვითარება.

აქტივობა: დაწყებითი კლასის მოსწავლეებს მასწავლებელმა ასეთი დილემური სიტუაცია შესთავაზა: თანაკლასელებს თეკლასთვის დაბადების დღე უნდა მიელოცათ. თეკლას ყველაზე მეტად იების თაიგული გაახარებდა, მაგრამ ბავშვებმა ისწავლეს, რომ მოკრეფილი ყვავილები მალე „კვდება“. კლასს უნდა მოენახა ისეთი ოპტიმალური გამოსავალი, რომ თეკლაც გაეხარებინათ საჩუქრით და ყვავილისთვისაც შეენარჩუნებინათ „სიცოცხლე“.

აღნიშნული აქტივობა დასახული მიზნის:

ა) **ადეკვატურია.** სიტუაცია უბიძგებს მოსწავლეებს, ალტერნატიული ვარიანტების განხილვის შედეგად მოძებნონ ოპტიმალური გამოსავალი, რაც პრობლემის გადაჭრის უნარს ავითარებს.

ბ) **არაადეკვატურია.** ამ ასაკში მოსწავლეებისათვის რთულია დილემური სიტუაციიდან გამოსავლის მოძებნა, ამგვარად მათ მხოლოდ გაუმძაფრდებათ შიში პრობლემების მიმართ და საკუთარი შესაძლებლობების რწმენას დაკარგავენ.

გ) **ადეკვატურია.** ეს აქტივობა აღძრავს მოსწავლეებში ინტერესს და ხელს შეუწყობს შესწავლილი მასალის განმტკიცებას, რაც განუვითარებს მოსწავლეებს პრობლემის გადაჭრის უნარს.

დ) **არაადეკვატურია.** დავალება ჯგუფურია და შეიცავს რისკს, რომ პრობლემას ერთი მოსწავლე გადაჭრის, სხვები კი პასიური მსმენელების როლში იქნებიან და არ განუვითარდებათ პრობლემის გადაჭრის უნარი.

დავალება №17

მასწავლებელმა მიზნად დაისახა საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ზეპირმეტყველების შედეგების მიღწევის დონის შემოწმება. ამისათვის მან აირჩია საკლასო კონფერენცია. მოსწავლეთა მოხსენებები მასწავლებელმა ქულებით შეაფასა და კლასს გააცნო.

შეფასების რომელი ტიპი გამოიყენა მასწავლებელმა?

ა) შემაჯამებელი განმსაზღვრელი
ბ) შემაჯამებელი განმავითარებელი
გ) მიმდინარე განმსაზღვრელი
დ) მიმდინარე განმავითარებელი

დავალება №18

ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა მართებული სწავლების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენების შესახებ?

ა) სწავლების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები მასწავლებელმა მიზნობრივად უნდა შეარჩიოს. შესაძლებელია მათი ერთსა და იმავე გაკვეთილზე მონაცვლეობით გამოყენებაც.

ბ) სწავლების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები განსხვავებულია, თუმცა ორივე მათგანი ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება. ამდენად, ერთი გაკვეთილის ფარგლებში არ არის მიზანშეწონილი მათი მონაცვლეობა.

გ) სწავლების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები გაკვეთილზე განსხვავებულ მიზნებს ემსახურება. სწავლების სტრატეგიების ცვლა უარყოფითად მოქმედებს მოსწავლეთა ჩართულობაზე და აფერხებს სასწავლო პროცესს.

დ) სწავლების პირდაპირი მეთოდები მოსაწყენია, ამიტომ მასწავლებელმა ყოველი გაკვეთილი უნდა წარმართოს სწავლების არაპირდაპირი, უფრო მეტად სახალისო მეთოდებით.

დავალება №19

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ბავშვებს, რომლებსაც სახელმწიფო ენის არცოდნის გამო კომუნიკაციისა და სწავლის პრობლემები ექმნებათ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებად მიიჩნევენ. მასწავლებლმა ხელი უნდა შეუწყოს ასეთი მოსწავლის სოციალურ ინტეგრაციას, მისი ინტერესებისა და შესაძლებლობების გამოვლენა-განვითარებას.

გაეცანით ქვემოთ მოცემულ სიტუაციას:

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი გოგონა მშობლებმა ქართულ სკოლაში შეიყვანეს. სახლში მხოლოდ მშობლიურ ენაზე ლაპარაკობენ, გოგონას მეგობრები და მეზობლების უმრავლესობაც არაქართულენოვანი ჰყავს, ამიტომ მას ქართულ ენაზე ლაპარაკი უჭირს, თუმცა კითხვით კარგად კითხულობს და ტექსტსაც იგებს.

ჩამოთვლილთაგან რომელია ასეთი მოსწავლის სასწავლო პროცესში ინტეგრაციისათვის მასწავლებლის *ყველაზე ეფექტიანი* ქმედება?

ა) მისცეს მოსწავლეს მცირე ზომის მოთხრობები წასაკითხად და შემდეგ დაუსვას კლასში შეკითხვები წაკითხულთან დაკავშირებით.

ბ) მეტი დრო დაუთმოს გრამატიკული საკითხების დამუშავებას და მისცეს მოსწავლეს ბევრი ენობრივი სავარჯიშო.

გ) დააწყვილოს ძლიერ მოსწავლესთან, რომელიც დაეხმარება მას დასმულ შეკითხვებზე პასუხების სწორად ფორმულირებაში.

დ) ხშირად ჩართოს სიტუაციურ თამაშებში, იმიტირებულ დიალოგებში, რისთვისაც წინასწარ მისცეს მას შესაბამისი ენობრივი კონსტრუქციები.

დავალება №20

ჯგუფებად დაყოფის მრავალი ხერხი არსებობს. მოსწავლეები შეიძლება დავყოთ შემთხვევითობის პრინციპით, ინტერესების, შესაძლებლობების მიხედვით, შეიძლება მათი სურვილითაც დაჯგუფება (მეგობრების ჯგუფი). როგორც ცნობილია, თითოეულ პრინციპს ახლავს გარკვეული რისკ-ფაქტორები, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ჯგუფური სამუშაოს წარმატებით განხორციელებისათვის.

ცხრილის A სვეტში აღწერილ რისკ-ფაქტორს შეუსაბამეთ B სვეტში მოცემული ჯგუფებად დაყოფის პრინციპი:

დასაშვებია, რომ **B სვეტში წარმოდგენილი ალტერნატივებიდან ერთი პასუხი სწორი იყოს **A** სვეტში მოცემული ერთზე მეტი პირობისათვის.*

რისკ-ფაქტორი (A)	**დაყოფის პრინციპი (B)**
I. „იარლიყების" მიწებების საშიშროება. საფრთხე ემუქრება ზოგიერთი მოსწავლის სოციალურ სტატუსს.	ა) შემთხვევითობის მიხედვით ბ) ჰომოგენური (მსგავსი შესაძლებლობების მიხედვით) გ) მეგობრობის მიხედვით დ) ჰეტეროგენული (განსხვავებული შესაძლებლობების მიხედვით)
II. ნაწილი იჭერს დომინანტურ პოზიციას, ნაწილი კი – ზედმეტად პასიურია.	
III. გადაჭარბებული ერთსულოვნება და თანხმობა საკამათო საკითხებზე. პერსპექტივებისა და ალტერნატივების ნაკლებობა.	

შესაბამისობები ჩაწერეთ თანდართულ ცხრილში.

(*შენიშვნა: პირველი აქტივობის შესაბამისი პასუხი უკვე ჩაწერილია ცხრილში*)

✍ *ჩაწერეთ:*

რისკ-ფაქტორი (A)	I	II	III
დაყოფის პრინციპი (B)	ბ		

დავალება №21

მაქსიმალური ქულა 4

სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით სასწავლო პროცესი მრავალფეროვანი, საინტერესო და უფრო შედეგიანი ხდება. სწავლების თანამედროვე მეთოდები ხელს უწყობს მასალის ხანგრძლივ დამახსოვრებას, მის პრაქტიკაში გამოყენებას და, ზოგადად, სააზროვნო პროცესების გააქტიურებას. **პრეზენტაცია** ერთ-ერთი ასეთი მეთოდია, რომელიც აღრმავებს მოსწავლის ცოდნას და ავითარებს კვლევა-ძიების უნარებს.

– აღწერეთ ის ეტაპები, რომლებიც პრეზენტაციის მეთოდის ეფექტიანად გამოყენებას უზრუნველყოფს.

– დაასახელეთ ერთი მნიშვნელოვანი პირობა/მოთხოვნა, რომელიც უნდა დაიცვას პედაგოგმა პრეზენტაციის მეთოდის გამოყენებისას. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

ჩაწერეთ:

დავალება №22

მაქსიმალური ქულა 4

ხშირად მოსწავლეებს უჭირთ ერთ რომელიმე საგანში მიღებული ცოდნის განვრცობა და სხვა საგნის საკითხებთან მისადაგება, რაც ართულებს სასწავლო მასალის ათვისებას. ამიტომ სწავლებისას პედაგოგი **დიდ ყურადღებას უნდა უთმობდეს საგანთა შორის კავშირების დამყარებას.** ამგვარად შეძენილი ცოდნა უფრო კომპლექსური, სისტემური და მოქნილი ხდება, შესაბამისად, მოსწავლე ადეკვატურად გამოიყენებს მას სხვადასხვა სასწავლო პრობლემის გადასაჭრელად.

- აღწერეთ ორი სასწავლო ქმედება, რომელთა საშუალებითაც მასწავლებელი დაეხმარება მოსწავლეებს საგანთა შორის კავშირების დამყარებაში.
- დაასაბუთეთ თქვენ მიერ აღწერილი სასწავლო ქმედებების ადეკვატურობა საგანთა შორის კავშირების დამყარებისათვის.

ჩაწერეთ:

დავალება №23

მაქსიმალური ქულა – 3

ერთ-ერთი სკოლის უფროსკლასელები მასწავლებლის დავალებით წერენ მცირე ესეებს ბავშვის უფლებებზე, თანასწორობის, სიცოცხლის, თავისუფლების, აგრესიისა და პირადი ხელშეუხებლობის თემებზე. ესეებს აქვეყნებენ ინტერნეტ-სივრცეში. ამ პუბლიკაციას, როგორც წესი, მოჰყვება ხოლმე მკითხველთა კომენტარები და შეფასებები, ხშირად პოლემიკაც, რომელშიც აქტიურად ერთვებიან როგორც ესეის ავტორი და მისი თანაკლასელები, ასევე სხვა დაინტერესებული პირები.

– აღწერეთ მასწავლებლის მიერ განხორციელებული სასწავლო აქტივობის დადებითი შედეგები მოსწავლეთათვის. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

ჩაწერეთ:

დავალება №24–28 შემდეგ პირობას ეყრდნობა:

დამწყები პედაგოგების პროფესიულ განვითარებაში მნიშვნელოვანია მენტორის როლი. ჩვეულებრივ, მენტორი კვალიფიციური და გამოცდილი პედაგოგია. დიდწილად მასზეა დამოკიდებული, რა გამოცდილებას შეიძენს ახალბედა მასწავლებელი და როგორი განწყობა ჩამოუყალიბდება საკუთარი პროფესიის მიმართ.

წარმოიდგინეთ, რომ მენტორის ფუნქცია თქვენ დაგეკისრათ. სკოლაში მასწავლებლობის სამი მაძიებელია, რომელთაც უმაღლესი პედაგოგიური განათლება მიიღეს და თქვენთან იძენენ გამოცდილებას. **მაძიებლობის პერიოდში** მათ უკვე მოსინჯეს სწავლების სხვადასხვა მეთოდი, კლასის მართვის სტრატეგიები და გამოსცადეს კოლეგებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან ურთიერთობის პირველი სირთულეები.

დამწყები მასწავლებლები თქვენ, მენტორ პედაგოგს, ხშირად მოგმართავენ კითხვებით. ახალგაზრდები გულწრფელად, დაუფარავად გიზიარებენ საკუთარ პრობლემებს, გთხოვენ რჩევებს. მაძიებლებისაგან ხშირად იღებთ ელექტრონულ წერილებსაც.

ქვემოთ მოცემულია მაძიებელ მასწავლებელთა ელექტრონული წერილები. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული წერილი და გაიაზრეთ მასში აღწერილი პრობლემის არსი. აღწერეთ, **რა რჩევას მისცემდით მომავალ მასწავლებელს, რა გზით შეიძლება დასმული პრობლემების მოგვარება. შეეცადეთ, პასუხი იყოს კონკრეტული და არგუმენტირებული.**

შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

- **აღწერეთ** ერთი კონკრეტული სტრატეგია, რომელიც დაეხმარება ახალბედა პედაგოგს წერილში მოცემული პრობლემის მოგვარებაში.
- **დაასაბუთეთ** თქვენ მიერ აღწერილი სტრატეგიის მართებულობა – რატომ შეუწყობს ის ხელს პრობლემის მოგვარებას.

თითოეული წერილი დასათაურებულია. სათაური ასახავს წერილში წარმოდგენილი პრობლემის არსს.

თითოეული დავალების მაქსიმალური ქულა არის 3.

ამონარიდები მენტორის ელექტრონული ფოსტიდან:

დავალება №24 მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობა



მასწავლებელი-მოსწავლის ურთიერთობა - Message (HTML)

Message Add-Ins Adobe PDF

From: Teona Eliava [eliava_teo@yahoo.com]
To: mentors@gmail.com
Cc:
Subject: მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობა

მეცხრე კლასში პირველი საკონტროლო წერა დავგეგმე. ამის შესახებ მოსწავლეებს ერთი კვირით ადრე ვაცნობე, თან საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულმა გავაფრთხილე: „არ იფიქროთ გადაწერა. იცოდეთ, ვერ გამომაპარებთ. თუ ვინმე ამას მოახერხებს, ღმერთმა შეარგოს“. საკონტროლო წერის პროცესში არ დავმჯდარვარ, ამიტომაც მეგონა, რომ „შპარგალკის“ გამოყენების ყველა მცდელობა „აღვკვეთე“. კმაყოფილმა რვეულები ავკრიფე და ნაწერების გასწორებას შევუდექი. კახას კარგი ნაწერი ჰქონდა, თუმცა ბოლო ფურცელი რომ გადავშალე, „შპარგალკა“ აღმოვაჩინე, რომელსაც ბოლოში ასეთი მინაწერი ჰქონდა: „ღმერთმა შემარგოს!“.

რა უნდა გავაკეთო იმისთვის, რომ ბავშვთან ურთიერთობა არ გამიფუჭდეს და არც რეაგირების გარეშე დავტოვო მოსწავლის ქცევა?

პატივისცემით

თეონა

დავალება №25 „ლიდერებს“ შორის ურთიერთობა



ურთიერთობები მოსწავლეებს შორის - Message (HTML)

Message Add-Ins Adobe PDF

From: Tamar Dvali [tdvali@yahoo.com]
To: mentors@gmail.com
Cc:
Subject: „ ლიდერებს“ შორის ურთიერთობები

ორი მოსწავლე მყავს, რომელთაც კლასში ერთპიროვნული ლიდერობა სურთ და ამის გამო მუდმივად პაექრობენ. ეს მომენტი განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება, როდესაც ჯგუფურ მუშაობას ან დისკუსიას ვატარებ. შევეცადე, მათი სხვადასხვა ჯგუფში გადანაწილებით მომეხსნა ეს პრობლემა, მაგრამ უშედეგოდ. საკმარისია, რომელიმე ერთს მივაქციო ყურადღება, რომ მეორე დესტრუქციული ხდება. იქნებ მირჩიოთ, როგორ დავარეგულირო მათ შორის ურთიერთობა.

დიდი მადლობა

თამარი

დავალება №26

მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა გაკვეთილის დასაწყისიდანვე



From: Nino Lomidze [lomidze_nino@yahoo.com]
To: mentors@gmail.com
Cc:
Subject: მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა გაკვეთილის დასაწყისიდანვე

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც ბავშვებთან მუშაობისას ვაწყდები, არის მათი ყურადღების მობილიზაცია გაკვეთილის დაწყებისას. როგორც წესი, მოსწავლეები შესვენებიდან აფორიაქებულები შემოდიან და სანამ შესაბამისი განწყობა ჩამოუყალიბდებათ და ყურადღების მომართვას მოახერხებენ, თითქმის ნახევარი გაკვეთილი გადის.

იქნებ მირჩიოთ, როგორ, რა გზით შეიძლება ბავშვების ყურადღების მობილიზება გაკვეთილის დაწყების პირველივე წუთებიდან.

ნინო

დავალება №27 ცოდნის ილუზია და გაგების მონიტორინგი



From: Tamar Dvali [tdvali@yahoo.com]
To: mentors@gmail.com
Cc:
Subject: ცოდნის ილუზია და გაგების მონიტორინგი

დღეს ჩემი მოსწავლის მშობელთან საკმაოდ რთული საუბარი მქონდა. მისი შვილი ჩემს გაკვეთილებზე, როგორც წესი, სულ ხელს იწევს, აქტიურობს, მაგრამ როდესაც ვეკითხები, არასწორად მპასუხობს. მშობელთან საუბრისას გავარკვიე, რომ ბავშვი საკმაოდ დიდ დროს უთმობს მეცადინეობას და სათანადო ყურადღებითაც ეკიდება დავალებას. სავარაუდოდ, მისი პრობლემა გულგრილობა არ არის. რაკი მეცადინეობს, ჰგონია, რომ ისწავლა. როგორც ვიცი, სპეციალურ ლიტერატურაში ამას „ცოდნის ილუზიას“ უწოდებენ.

დარწმუნებული ვარ, თქვენს პრაქტიკაშიც ყოფილა შემთხვევები, როდესაც ბავშვი მეცადინეობს, ჰგონია, რომ მასალა გაიგო და ისწავლა, მაგრამ რეალურად ასე არ არის. რა სტრატეგიას მიმართავთ იმისათვის, რომ ბავშვმა თავადვე შეძლოს საკუთარი ცოდნის შეფასება და თავი დააღწიოს „ცოდნის ილუზიას“?

პატივისცემით,

თამარი

დავალება №28 აგრესიით თვითდამკვიდრება



აგრესიით თვითდამკვიდრება - Message (HTML)

Message Add-Ins Adobe PDF

From: Nino Lomidze [lomidze_nino@yahoo.com]
To: mentors@gmail.com
Cc:
Subject: აგრესიით თვითდამკვიდრება

ჩემს კლასში ერთი ჩარჩენილი მოსწავლეა, რომელიც თანაკლასელებზე ერთი წლით უფროსია და ფიზიკურადაც გამოირჩევა – ყველაზე მაღალი და ჭარბწონიანია. როგორც ჩანს, ამ ყველაფრის გამო კომპლექსები აქვს, რაც კლასელებთან ურთიერთობებზეც აისახება. ბოლო დროს ჩემთანაც უხეშობს, არ მემორჩილება, უარს ამბობს ჩემი მითითებების შესრულებაზე. ვატყობ, რომ კლასში თავის დასამკვიდრებლად მან ეს გზა აირჩია.

ალბათ, გქონიათ მსგავსი შემთხვევები. იქნებ მირჩიოთ, რისი გაკეთებაა შესაძლებელი იმისათვის, რომ მოსწავლემ თავის დასამკვიდრებლად აგრესიას არ მიმართოს და კლასის სრულფასოვანი წევრი გახდეს.

ნინო

ყოველი დავალებისათვის (№24-28) განკუთვნილ არეში **აღწერეთ მასწავლებლის ერთი *კონკრეტული* აქტივობა/სტრატეგია,** რომელიც იქნება ახალბედა მასწავლებლის მიერ წამოჭრილი პრობლემის მოგვარების გზა. **დაასაბუთეთ,** თუ რატომ შეუწყობს ხელს თქვენ მიერ აღწერილი თითოეული სტრატეგია ამ პრობლემის მოგვარებას.

პასუხების ფურცელზე არის მინიშნება, თუ სად უნდა ჩაიწეროს პასუხი.

ჩაწერეთ:

დავალება №24

დავალება №25

დავალება №26

დავალება №27

დავალება №28

დავალება №29

ვიგოტსკის თეორიის მიხედვით, ბავშვის კოგნიტური განვითარების ხელშეწყობა გულისხმობს მის გადაყვანას განვითარების აქტუალური ზონიდან უახლოეს ზონაში. ამ პროცესში პედაგოგი გარკვეულ დამხმარე საშუალებებს იყენებს („სკაფოლდინგი“), რომლებიც ბავშვს შესაძლებლობას აძლევს, შეასრულოს მისი განვითარების უახლოესი ზონის შესაბამისი დავალებები.

ჩამოთვლილთაგან რომელია მასწავლებლის მიერ კლასში **„სკაფოლდინგის“** გამოყენების მაგალითი/მაგალითები?

I. მასწავლებელი რთულ ამოცანას რამდენიმე პატარა, უფრო მარტივ ნაწილად ყოფს და აძლევს მოსწავლეებს კონკრეტულ მითითებებს, მიმართულებას, როგორ უნდა შეასრულონ იგი.
II. მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს რთულ ამოცანას და როდესაც აღმოაჩენს, რომ უმრავლესობა ვერ ართმევს თავს დავალებას, თავად წერს დაფაზე ამოცანის ამონახსნს.
III. მასწავლებელი რთული დავალების შესრულების ყოველ ეტაპზე განიხილავს მოსწავლეთა ნამუშევრებს და სულ მცირე პროგრესის შემთხვევაშიც ამხნევებს მოსწავლეებს და აძლევს რეკომენდაციებს შემდგომი სრულყოფისათვის.

ა) მხოლოდ I და II
ბ) მხოლოდ I და III
გ) მხოლოდ II
დ) მხოლოდ III

დავალება №30

მესამე კლასის მოსწავლეები შესვენებაზე აქტიურად განიხილავდნენ სახალისო ამოცანას:

„რა უფრო მძიმეა, ერთი კილო რკინა თუ ერთი კილო ბამბა?“

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებმა უკვე ისწავლეს წონის საზომი ერთეულები უმეტესობის აზრით, „ერთი კილო რკინა ერთ კილო ბამბაზე უფრო მძიმეა, რადგან ბამბა მსუბუქი და ღრუბელივით ჰაეროვანია“.

პიაჟეს თეორიაში აღწერილი კოგნიტური განვითარების სტადიებიდან რომელს შეიძლება მივაკუთვნოთ ბავშვების მსჯელობა?

ა) ფორმალური ოპერაციების სტადიას
ბ) კონკრეტული ოპერაციების სტადიას
გ) პრეოპერაციულ სტადიას
დ) სენსო-მოტორულ სტადიას

დავალება №31

ჩამოთვლილთაგან რომელი მეთოდი/მეთოდები მიეკუთვნება სწავლების კონსტრუქტივისტულ მიდგომას?

I. **მოდელირება**. მასწავლებელი თვალსაჩინოდ წარმოადგენს რთული დავალების შესრულებისათვის საჭირო ნაბიჯებს.
II. **რეფლექსია**. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი სწავლის პროცესის გაანალიზებაში.
III. **პრეზენტაცია**. მასწავლებელი აწვდის მოსწავლეებს კონკრეტული თემის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას და გამოჰყოფს საკვანძო საკითხებს.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ I და II
გ) მხოლოდ II და III
დ) მხოლოდ III

დავალება №32

მონტესორის მიხედვით, ბავშვებს ბუნებრივი სწრაფვა აქვთ ახლის სწავლისა და გარემოს შემეცნებისადმი. მასწავლებლის დანიშნულებაა ისეთი საკლასო გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს და წაახალისებს ბავშვის ამ ბუნებრივ მოთხოვნილებას და სწავლას ხალისიანს გახდის.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი მიდგომა შეესაბამება ***ყველაზე მეტად*** მონტესორის თეორიის პრინციპებს?

ა) მასწავლებელს წინასწარ აქვს მომზადებული სხვადასხვა სირთულის დავალებები, რომლებიდანაც მოსწავლე ირჩევს მისთვის სასურველს. ისეთი სასწავლო გარემოა შექმნილი, სადაც ყველას აქვს საკუთარი შეცდომების დანახვისა და გამოსწორების საშუალება.

ბ) მასწავლებელი ადგენს მოსწავლეთა განვითარების უახლოეს ზონას, აძლევს მათ ამ ზონის შესატყვის დავალებას და მიმანიშნებელი შეკითხვებით მიჰყავს ისინი სწორ პასუხამდე.

გ) მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს შესასწავლი საკითხის მნიშვნელობის შესახებ, მოჰყავს მაგალითები, რომლებიც ნათელს ხდის, როგორ და რა სიტუაციაში შეიძლება ამ საკითხის პრაქტიკაში გამოყენება.

დ) მასწავლებელი იყენებს ე.წ. „სპირალური კურიკულუმის“ პრინციპს: საწავლო გეგმა ისეა შედგენილი, რომ ყოველი ახალი ცნება უკვე დასწავლილსა და წინა გამოცდილებას ეფუძნება.

დავალება №33

ბრუნერის მიხედვით, აღმოჩენებით სწავლა აიოლებს ინფორმაციის ხანგრძლივ დამახსოვრებას, ავითარებს პრობლემის გადაჭრის უნარსა და ზრდის სწავლის მოტივაციას.

ჩამოთვლილთაგან რომელია აღმოჩენის გზით სწავლა/სწავლების **მაგალითი?**

ა) მოსწავლეები ატარებენ ექსპერიმენტს. აკვირდებიან პროცესებს, აღწერენ ექსპერიმენტის მსვლელობას და აჯამებენ მიღებულ შედეგებს.
ბ) მოსწავლეები აგებენ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ეკონომიკის განვითარების ამსახველ დიაგრამას მასწავლებლის მიერ მოწოდებული ანალიტიკური ინფორმაციის საფუძველზე.
გ) ტექსტის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ჩაინიშნონ, რომელი ინფორმაცია იყო მათთვის ნაცნობი/უცნობი და რის გაგებას ისურვებდნენ დამატებით.
დ) ნიუტონის პირველი კანონის შესწავლის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ ამ კანონის დამადასტურებელი მაგალითები ცხოვრებიდან.

დავალება №34

კინოში წასასვლელად ბავშვები 15-15 ლარს აგროვებდნენ. გიორგიმ დედა მოატყუა და უთხრა, რომ 20 ლარი სჭირდებოდა. მოგვიანებით მან დას გაუმხილა, რომ დედას 5 ლარით მეტი გამოართვა, რათა ჯიბის ფული დარჩენოდა.

კოლბერგის თეორიის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან გიორგის დის რომელი რეაქცია შეესაბამება *მორალური განვითარების ყველაზე მაღალ დონეს*?

ა) ეტყვის დედას სიმართლეს, რადგან შეეშინდება, რომ ისიც შეიძლება დაისაჯოს, თუ გიორგის ტყუილი გამჟღავნდება.
ბ) დაარწმუნებს ძმას, დედას სიმართლე უთხრას, რადგან იმ შემთხვევაშიც კი, ტყუილი რომ არ გამჟღავნდეს, სინდისის ქენჯნას ვერ გაექცევა.
გ) ეტყვის დედას სიმართლეს, რადგან არ შეიძლება მშობლის მოტყუება – დედის მოტყუება ცუდი საქციელია.
დ) შეთანხმდება გიორგისთან, რომ თუ ძმა მასაც გაუნაწლებს დარჩენილ თანხას, ის დედას ამის შესახებ არაფერს ეტყვის.

დავალება №35

სკოლაში დაწესებულია ახალი მოსწავლის მიღების რიტუალი, რომლის დროსაც თანაკლასელები მეგზურობას უწევენ მას და აცნობენ სკოლას, ამზადებენ შეკითხვებს მისი ინტერესებისა და გატაცებების სფეროს დასადგენად.

მასლოუს თეორიის მიხედვით, მოსწავლის რომელი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას **ვერ შეუწყობს** ხელს სკოლაში ამგვარი წესის (რიტუალის) არსებობა?

ა) მიკუთვნებულობისა და სიყვარულის
ბ) თვითპატივისცემისა და აღიარების
გ) თვითაქტუალიზაციის
დ) უსაფრთხოების

დავალება №36

ქვემოთ მოცემულია მიზანი, რომლის მიღწევაც სურს მასწავლებელს და ამ მიზნის მისაღწევად მის მიერ განხორციელებული კონკრეტული აქტივობა. დასახული მიზნიდან გამომდინარე, შეაფასეთ აღწერილი აქტივობის ადეკვატურობა თანდართული არგუმენტაციის გათვალისწინებით.

მიზანი: მოსწავლეთა გააქტიურებისა და ინიციატივის გამოჩენის ხელშეწყობა.

აქტივობა: მასალის ახსნისას პედაგოგი იყენებს ახალი ტიპის მრავალფეროვან და რთულ დავალებებს, მოითხოვს მათ დამოუკიდებლად გადაჭრას, მიუხედავად იმისა, რომ იცის, მოსწავლეთა უმეტესობას გაუჭირდება და, შეიძლება, ვერც შეასრულოს დავალება.

როჯერსის თეორიის მიხედვით, აღწერილი აქტივობა მიზნის:

ა) **ადეკვატურია**, რადგან ძალიან რთული დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეთა მობილიზებას და ამაღლებს მათ მოტივაციას. შედეგად ისინი აქტიურდებიან და ცდილობენ ამოცანის დაძლევის გზების მოფიქრებას.
ბ) **არაადეკვატურია**, რადგან მსგავსი მოთხოვნები თრგუნავს მოსწავლეებს და უარყოფითად აისახება მათ თვითშეფასებაზე. შედეგად ისინი ხდებიან პასიურები და უყალიბდებათ სწავლის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება.
გ) **ადეკვატურია**, რადგან მოსწავლეები ეჩვევიან სირთულეებს, ხედავენ მრავალფეროვანი იდეებისა და სიახლეების სარგებლიანობას. ცდილობენ გამოიჩინონ ინიციატივა, რაც აძლევს მათ საკუთარი შესაძლებლობების რწმენას.
დ) **არაადეკვატურია**, რადგან მოსწავლეები ვერ ახერხებენ სწავლის ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ფერხდება მათი გონებრივი განვითარება, რის შედეგად მოსწავლეებს ეუფლებათ უმწეობის განცდა.

დავალება №37

ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობა **არ ასახავს** დიუის პროგრესული განათლების პრინციპებს:

ა) სწავლა აქტიური პროცესი უნდა იყოს და მოიცავდეს პრაქტიკულად განსახორციელებელ აქტივობებს.

ბ) სკოლის მიზანი უნდა იყოს განათლებული პიროვნებების ჩამოყალიბება, რაც ფაქტების სწავლებით და ინფორმაციის ათვისებით მიიღწევა.

გ) განათლების მიზანი უნდა იყოს პრობლემის გადაჭრის უნარის მქონე და კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნების ჩამოყალიბება.

დ) მასწავლებელი უნდა ეხმარებოდეს მოსწავლეებს ახალი ცოდნის საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირებაში.

დავალება №38

მასწავლებელმა პირველკლასელს ჰკითხა: რამდენია 3+4? მოსწავლემ სწორი პასუხი გასცა. შემდეგ მასწავლებელმა ახალი შეკითხვა დაუსვა: რამდენია 7–3?. მოსწავლემ ვერ უპასუხა.

პიაჟეს თეორიის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელი უნარი არ აქვს განვითარებული მოსწავლეს?

ა) კონსერვაციის უნარი

ბ) ტრანზიტულობის უნარი

გ) სერიაციის უნარი

დ) შექცევადობის უნარი

დავალება №39

ბიჰევიორისტული თეორიის მიხედვით, მეორადი განმამტკიცებელი სტიმულები სამ კატეგორიად იყოფა: სოციალურ, ქცევით და სიმბოლურ განმამტკიცებლებად.

ჩამოთვლილთაგან რომელი მიეკუთვნება *სოციალურ განმამტკიცებელ* სტიმულს?

ა) დაწყებითი კლასის მასწავლებელი საშინაო დავალების რვეულში მოსწავლეს ათფურცლიანი ყვავილს უხატავს იმის ნიშნად, რომ მან დავალება ძალიან კარგად შეასრულა.

ბ) დაწყებითი კლასში კარგად შესრულებული სასწავლო აქტივობის შემდეგ მასწავლებელი შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს განიტვირთონ და ითამაშონ.

გ) დაწყებითი კლასის მასწავლებელი საშინაო დავალების კარგად შესრულებისათვის ღიმილით გამოხატავს კმაყოფილებას და მადლობას უხდის მოსწავლეებს.

დ) დაწყებითი კლასის მასწავლებელს შემაჯამებელი სამუშაოს წარმატებით შესრულების შემდეგ მოსწავლეები გაჰყავს სკოლის გვერდით მდებარე პარკში სასეირნოდ.

დავალება №40

მაქსიმალური ქულა – 3

მასწავლებელმა გაკვეთილი ასე წარმართა:

მოსწავლეები სხედან კომპიუტერებთან. მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს სამ საკვანძო ერთეულს, ე.წ. სტიმულებს: *„კიოტოს ოქმი“, „სათბურის აირების კონცენტრაცია“, „ზღვის დონის აწევა“.* მოსწავლემ უნდა მოძებნოს ინტერნეტში (ქართულ ვიკიპედიაში) ეს „სტიმულები“, გაარკვიოს, რომელ მოვლენას უკავშირდება ისინი, ლოგიკურად დაუკავშიროს მოძიებული ინფორმაცია ერთმანეთს და დაწეროს დაახლოებით 50-სიტყვიანი რეზიუმე.

გააანალიზეთ აღწერილი სიტუაცია **ბლუმის თეორიაზე** დაყრდნობით. ახსენით, მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდის მნიშვნელობა.

შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

- **ახსენით,** ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით, მოსწავლეთა აზროვნების რომელი დონის/დონეების გააქტიურება დაისახა პედაგოგმა მიზნად.
- **განმარტეთ** ბლუმის თეორიაზე დაყრდნობით გაკვეთილის დაგეგმვის მნიშვნელობა/დადებითი ეფექტი.

****იმ შემთხვევაში, თუ ბლუმის თეორიას არ იცნობთ, შეასრულეთ დავალება საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით.***

✍ *ჩაწერეთ:*

ყურადღებით გაეცანით სიტუაციას და მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით იმსჯელეთ თანდართული დებულებების ჭეშმარიტების შესახებ.

- თუ მიიჩნევთ, რომ დებულება ჭეშმარიტია, საკმარისია, მონიშნოთ შესაბამისი უჯრა. ასეთ შემთხვევაში რაიმე კომენტარის გაკეთება არ მოგეთხოვებათ.
- თუ მიიჩნევთ, რომ დებულება მცდარია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა და საგანგებოდ გამოყოფილ არეში **თქვენ მიერ მცდარად შეფასებული დებულება ჩაწერეთ სწორად – მოქმედი კანონის შესაბამისად.**

დავალებები №41–45 შემდეგ პირობას ეყრდნობა

სწავლის დაწყებიდან პირველივე კვირაში დირექციამ არჩეული სახელმძღვანელოების სია გამოაქვეყნა თავის ვებგვერდზე და სკოლის ფოიეშიც გამოაკრა.

სწავლის დაწყებიდან ორი თვის შემდეგ ერთ-ერთმა კათედრამ უკმაყოფილება გამოთქვა არჩეული სახელმძღვანელოების გამო. მასწავლებელთა განცხადებით, მათ არასწორი არჩევანი გააკეთეს იმ მიზეზით, რომ სკოლამ არ უზრუნველყო ბიბლიოთეკა ალტერნატიული სახელმძღვანელოების ეგზემპლარებით. მასწავლებლებს არ ჰქონდათ მათი კარგად გაცნობის საშუალება. კათედრამ პედაგოგიურ საბჭოს მოსთხოვა სხვა გრიფირებული სახელმძღვანელოს დამტკიცება. პედაგოგიურმა საბჭომ არ დააკმაყოფილა კათედრის თხოვნა.

საბჭოსგან საბოლოო უარის მიღების შემდეგ მასწავლებლებმა მშობლებს მოსთხოვეს სასურველი სახელმძღვანელოს შეძენა იმ მოტივით, რომ მას არჩეული სახელმძღვანელოების ნაცვლად გამოიყენებდნენ როგორც სასწავლო მასალას. ამასთან, მათ მშობლებს მოსთხოვეს დამხმარე/დამატებითი მასალის სახით არაგრიფირებული სახელმძღვანელოს შეძენაც. მშობლებმა შეიძინეს წიგნები, თუმცა ამ ფაქტის შესახებ გაიგო სკოლის დირექციამ და აუკრძალა მასწავლებლებს მათი გამოყენება, რადგან დარღვეული იყო სასწავლო მასალის შერჩევისა და სხვა პროცედურები.

41. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, არჩეული სახელმძღვანელოების სია უნდა გამოქვეყნდეს სასწავლო წლის დაწყებიდან ხუთი დღის განმავლობაში.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

42. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლას ჰქონდა უფლება, აეკრძალა პედაგოგებისათვის შერჩეული და დამტკიცებული სახელმძღვანელოს ჩანაცვლება ალტერნატიულით.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

43. სახელმძღვანელოების შერჩევის დროს სკოლის ხელმძღვანელობა ვალდებულია აღჭურვოს ბიბლიოთეკა ალტერნატიული სახელმძღვანელოების ეგზემპლარებით. შესაბამისად, მასწავლებელთა პრეტენზია საფუძვლიანია.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

44. მასწავლებლებს არ ჰქონდათ უფლება მოეთხოვათ მშობლებისაგან არაგრიფირებული სახელმძღვანელოების შეძენა, თუნდაც მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გაუმჯობესების მოტივით.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

45. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, სასწავლო მასალას საფეხურებისა და საგნების შესაბამისად ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

დავალება №46–50

ვახო 13 წლისაა. იგი ბუნებით საკმაოდ აქტიური და ცელქი ბავშვია, რის გამოც სკოლაში ხშირად პრობლემები ექმნება. მორიგი ინცინდენტის შემდეგ ვახოს დამრიგებელმა გადაწყვიტა მის მიმართ გადამისამართების ღონისძიების გამოყენება. აღნიშნულთან დაკავშირებით მან ჯერ სკოლის დირექციას, ხოლო შემდეგ სკოლის დისციპლინურ კომიტეტს მიმართა. დისციპლინურმა კომიტეტმა დეტალურად შეისწავლა ვახოს შემთხვევა - მოისმინა მანდატურისა და ვახოს სხვა მასწავლებლების აზრი და დამრიგებლის შუამდგომლობის დაკმაყოფილების გადაწყვეტილება მიიღო. ამის თაობაზე სკოლის დირექციამ ვახოს მშობლებსაც აცნობა და შესთავაზა ბავშვის სხვა სკოლაში გადაყვანა ან დისციპლინური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულება. მშობლებმა პრობლემებისთვის თავის ასარიდებლად ვახო სხვა სკოლაში გადაიყვანეს.

46. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, გადამისამართება არასრულწლოვანი მოსწავლის განსხვავებულ კულტურულ-საგანამანთლებლო პროგრამაში ჩართვას ან მის მიმართ სხვა ღონისძიებების გამოყენებას გულისხმობს.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

47. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, გადამისამართების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ 14 წელს მიღწეული მოსწავლეების მიმართ.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

48. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, გადამისამართების გამოყენება შესაძლებელია ანტისოციალური ქცევის მქონე მოსწავლეების მიმართ, რომლებიც სისტემატურად უქმნიან საფრთხეს საკუთარ ან გარშემომყოფთა უსაფრთხოებას.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

49. არასრულწლოვანის გადამისამართების ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დისციპლინური კომიტეტი მანდატურისა და მოსწავლის მასწავლებლების შესაბამისი შუამდგომლობის საფუძველზე.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍

50. გადამისამართების შესახებ განხილვის პროცესში უნდა იყოს უზრუნველყოფილი მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობა.

ჭეშმარიტია ☐ *მცდარია* ☐

✍